საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 21162/1
13/09/2024

21162-1-2-202409131213

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ *(შემდგომში - კომპანია)* განიხილა თქვენი №6/50563 წერილი თანდართული დოკუმენტაციით, რომელიც ეხება ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმანში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთის პრივატიზების საკითხს.

გაცნობებთ, რომ №6/50563 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპრივატიზაციო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ განთავსებულია კომპანიის კუთვნილი დ=200 მმ-იანი წყალარინების მოქმედი ქსელი და გაუქმებული წყალმომარაგების დ=100 მმ-იანი თუჯის მილი. ასევე, ნაკვეთის მიმდებარედ გადის წყალარინების დ=300 მმ-იანი მოქმედი ქსელი.

კომპანია არ არის წინააღმდეგი, მითითებული მიწის ნაკვეთის განკარგვა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომავალი მესაკუთრ(ეებ)ის მიერ დაცული იქნება ნაკვეთზე და მის მიმდებარედ განთავსებული, კომპანიის კუთვნილი წყალარინების მოქმედი ქსელების ექსპლუატაციისათვის საჭირო არეალი *(მილსადენის კედლებიდან ორივე მხარეს 3-3 მეტრი დაშორება)* წინამდებარე წერილზე თანდართული აზომვითი სამუშაოების ციფრული ვერსიის შესაბამისად და სანიტარიული წესები, საქართველოს საკანონმდებლო/კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად *(მომავალში, აღნიშნული ქსელის დაზიანების თავიდან აცილების, ასევე ავარიის შემთხვევაში შესაბამისი ტექნიკური ღონისძიებების შეუფერხებლად და ოპერატიულად განსახორციელებლად).* გასათვალისწინებელია, რომ ექსპლუატაციისათვის საჭირო არეალში დაუშვებელია ნებისმიერი სახის მშენებლობა.

საქართველო, ქ.თბილისი 0186
ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №5
ტელ: (032) 2 91 90 60
ს/კ: 412670097
e-mail: info@water.gov.ge
www.water. gov.ge
5, Anna Politkovskaya St.
Tbilisi 0186, Georgia
Tel: (032) 2 91 90 60

გიგზავნით, აღნიშნული ქსელების (მათი მონაკვეთების) ექსპლუატაციისათვის საჭირო სანიტარული ზოლის *(მილსადენის კედლებიდან თითოეულ მხარეს 3-3 მეტრის დაშორებით)* აზომვითი სამუშაოების ციფრულ ვერსიას, კომპანიის სასარგებლოდ უსასყიდლო სერვიტუტის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, ქსელების ექსპლუატაციის ვადით *(მომავალში, აღნიშნული ქსელის დაზიანების თავიდან აცილების, ასევე ავარიის შემთხვევაში შესაბამისი ტექნიკური ღონისძიებების შეუფერხებლად და ოპერატიულად განსახორციელებლად).*

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმანში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთის პრივატიზება წინამდებარე წერილში მითითებული პირობების დაცვით, არ აფერხებს კომპანიის მიერ მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

დანართი: სიტუაციური ნახაზი, ელ.ფაილი.

პატივისცემით,

სალომე ვაშაკიძე

დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში